შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com
Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia

15.03.2017 № 07-30
თქვ. № _____

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი:– თბილისში ბაღდადის ქუჩა № 9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის(ს/კ 01.17.13.056.062) მშენებლობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ძიების პროექტისათვის

ექსპერტიზის შესახებ

დასკვნის შედგენის საფუძველი: ხელშეკრულება 11.03.2017 წ

ობიექტის დასახელება: თბილისში ბაღდადის ქუჩა № 9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ძიების პროექტისათვის ექსპერტიზა

ვამტკიცებ, შენობა ნაგებობათა
კვლევის და ექსპერტიზისცენტრის

დირექტორი რ.ცხვედაძე

თბილისი 2017 წლის

ექსპერტიზის დასკვნა

თბილისში თბილისში ბაღდადის ქუჩა № 9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ 01.17.13.056.062) მშენებლობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ძიების პროექტის შესახებ

თბილისი

2017წელი

შემადგენლობა:

1. შესავალი
2. ექსპერტების მონაცემები
3. ექსპერტების წინაშე დასმული შეკითხვები
4. კვლევითი ნაწილი
5. დასკვნა

1. შესავალი

2017 წლის 11 მარტს შპს "ჯეობილდი საიდ"(ს/კ 406159632), დირექტორი ბესიკ პაპისმედოვსა და შპს „შენობა ნაგებობათა კვლევის და ექსპერტიზის ცენტრი "-ს დირექტორს რევაზ ცხვედაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაინიშნა ექსპერტიზა.

2. ექსპერტის მონაცემები

დათო ჯანყარაშვილი – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, მშენებლობის ექსპერტის, მშენებლობის აკადემიური დოქტორის ხარისხი, მუშაობის სტაჟი – 38 წელი.

3. ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვა

გთხოვთ ჩაგვიტაროთ თბილისში ბაღდადის ქუჩა № 9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ 01.17.13.056.062) მშენებლობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ძიების პროექტისათვის ექსპერტიზა .

წარმოდგენილი მასალები

1. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა – 10ფურცლად;
2. გრაფიკული დანართები და ცხრილები – 12ფურცლად;

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

– სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

- სამშენებლო ნორმების და წესების – „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;
- დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743. 2008 წლის 25 აგვისტო, ქ. თბილისი;
- СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო-საძიებო სამუშაოების მშენებლობისათვის“;
- Справочник проектировщика. „Основания фундаменты и подземные сооружения“. М. 1985 г.

კვლევითი ნაწილი

შპს “ჯეობილდი საიდ”(ს/კ 406159632), დირექტორი ბესიკ პაპისმედოვის დაკვეთით, შპს ”გენგეოს” გეოლოგთა ჯგუფმა (გეოლოგი დ.ბობოხიძე , მ.ბაბილოძე)2016 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე თბილისში ბაღდადის ქუჩა № 9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ 01.17.13.056.062) მშენებლობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენის მიზნით, ჩატარდა საინჟინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.დავალების თანახმად აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა აშანდეს 17 სრთულიანი საცხოვრებელი სახლი მანსარდით და ორი სართული მიწისქვეშა ავტო სადგომით, რომელიც გეგმაში რთული მოხაზულობისაა,ზომებით 55.0-55.0შენობის ტიპი კარკასული, საძირკვლის სავარაუდი ტიპი წიბოვანი ფილა. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით მე-2-ე.

აღნიშნული მიზნით გამოკვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების: „Инженерные изыскания для строительства“СП-11-105-97, Госстрой СССР „Методика оценки прочности и сжимаемости крупнообломочних грунтов“, „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ01.01-09), „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ02.01-08) და „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ01.05-08) მოთხოვნების შესაბამისად ნაგებობის განთავსების უბანზე გაყვანილია 5 ჭაბურღილი, სიღრმით 39.3 გრძ. მეტრი. საერთო მოცულობით 44.0. საველე და ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობდა ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტებისა და სტანდარტების დაცვით.დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის გრუნტის 5 და კლდოვანი გრუნტის 6 ნიმუში აგრეთვე წყლის 3 სინჯი. ფიზიკო-მექანიკური თვისებების განსასაზღვრავად. ადგილმდებარეობის

ვიზუალური დათვალიერების, ჭაბურღილების ბურღვის, ლაბორატორიული კვლევისა და საფონდო მასალების კამერალური დამუშავების მონაცემების საფუძველზე შედგენილია:

ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები;
უბნის გრძივი გეოლოგიური ჭრილები;
გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობის ცხრილები;
საანგარიშო მნიშვნელობის ცხრილი;
საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

რეგიონის გეოლოგიური აგებულება-ქანების რაობა, ასაკი, გენეზისი და ა.შ. განსაზღვრავს მის სეისმურობას. ნორმატიული დოკუმენტის „სეისმომედეგი მშენებლობა (პნ01.01-09) მიხედვით რაიონი მიეკუთვნება მიწისძვრების 8 ბალიან ზონას.

საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუქის მიხედვით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია, მდ. მტკვრის ჭალისზედა მეორე ტერასაზე რომელიც ქალაქის ამ ნაწილში ნავთლუღის ტერასის სახელით არის ცობილი. შესწავლილ სიღრმემდე ტერიტორია აგებულიასაქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუქის მიხედვით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია, მდ. მტკვრის ჭალისზედა მეორე ტერასაზე რომელიც ქალაქის ამ ნაწილში ნავთლუღის ტერასის სახელით არის ცობილი. შესწავლილ სიღრმემდე ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ქვიშაქვებით და არგილიტებით,რომელთა სახესხვაობები დაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვური კენჭნარით დელუვიალურ-პროლუვიალური თიხოვანი და ტექნოგენური გრუნტით,რომლის სიმძლავრე 6.5 მეტრია..

საკვლევი უბნის ფარგლებში გრუნტის წყალი გახსნა 5.3-5.7 მის ინტერვალში.

საპროექტო შენობის ტერიტორიაზე ჩატარებული საველე გეოტექნიკური გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა ოთხი ფენა –ფენა № 1 ნაყარიგრუნტი, ფენა № 2 თიხნარი, ფენა № 3 კენჭნარი, ფენა № 4 გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები. პროექტში განხილულია ამ ფენების დახასიათება.უბანზე გრუნტების სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოყოფილია 3-ი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი(სგე)

ფენა 2(სგე 1) თიხნარი; ფენა № 3 (სგე 2) კენჭნარი; ფენა № 4(სგე 3) გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები.

სახიფათო გეოდინამიკური პროცესები და მოვლენები საკვლევი უბნის ფარგლებში არ ფიქსირდება.

ამრიგად ზემოთმოყვანილი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, საკვლევი ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება მეორე კატეგორიას. საბოლოოდ მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით, საკვლევი უბანი განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში რაც სავსებით შეესაბამება მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებს. საპროექტო შენობის საძირკველი (ლენტური ან ფილა)უნდა განთავსდეს ფენა № 3 (სგე 2) -ზე კენჭნარი;ან ფენა № 4(სგე 3)-ზე გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები.

ნაშრომის მიმართ შენიშვნები არ გვაქვს.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შპს "ჯეობილდი საიდ"(ს/კ 406159632), დირექტორი ბესიკ პაპისმედოვის დაკვეთით, შპს "გენგეოს" გეოლოგთა ჯგუფის (გეოლოგი დ.ბობოხიძე , მ.ბაბილოძე)2016 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე თბილისში ბაღდადის ქუჩა № 9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პირობების დადგენის მიზნით ჩატარებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ძიების კვლევის შედეგები ძირითადად პასუხობს მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებს. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშს ეძლევა დადებითი შეფასება, რათა გამოყენებული იქნას პროექტირებისათვის.

ექსპერტი

პროფესორი დ.ჯანყარაშვილი

15.03.2017